

რძის ასაკის გოჭის გამოზრდის დამატებითი კვების სქემა

ასაკი		დღიური ნორმა 1 სულზე გრ-ში							
თვე	დეკადა	რძე		კონცენტრ	თივის ფქვილი	სტაფილო	კარტოფილი	NaCl (სუფრის მარილი)	ცარცო
		ნა ტურალ.	მოხდილი						
1	I.	50	–	–	–	–	–	–	–
	II.	150	–	100	10	10	20	3	3
	III.	250	150	100	20	15	50	4	5
2	IV.	300	200	200	50	20	100	4	5
	V.	150	250	300	100	25	200	5	10
	VI.	–	450	400	150	30	450	10	15

სასურველია საკვები მიეცეთ იმდენი რამდენსაც ჭამს. ასეთი მიდგომა ააქტიურებს ცხოველის ზრდის პროცესს და ეკონომიურია. გოჭების ასხლეტას ახორციელებენ 36–40 დღის ასაკში. როცა გოჭი მიაღწევს 20 დღეს აუცილებელია მაწოვარი ნეზვი გავიყვანოთ მოციონზე დღეში 1–1,5 საათით, რათა გოჭები მოვამზაოთ ასხლეტისათვის.